საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის
2017 წლის სტატისტიკური ინფორმაცია

2017 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტს განსახილველად გადაეცა 134 დისციპლინური საქმე. 2016 წლიდან 2017 წელს გადმოვიდა 257 დისციპლინური საქმე. შესაბამისად, სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტს სულ წარმოებაში ჰქონდა 391 საქმე.

2017 წელს გაიმართა 13 სადისციპლინო სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა 365 საქმე, რომელთაგან:

- ✓ 345 საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება;
- ✓ 15 საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება;
- ✓ 2 საქმეზე მოსამართლეს მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
- ✓ 3 საქმეზე მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში, აღნიშნული საქმეები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით გაერთიანდა ერთ წარმოებად და საქმე განსახილველად გადაეცა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას.

2017 წლიდან 2018 წელში განსახილველად გადავიდა 41 დისციპლინურ საქმე.

2017 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოებულ იქნა 134 დისციპლინური საქმე.

მოსამართლის მიმართ წარმოდგენილ დისციპლინურ საჩივრებში, საჩივრის ავტორები მიუთითებდნენ, ,,საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დისციპლინური გადაცდომებზე ოდენობით:

- ✓ კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას - **7;**
- ✓ მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა - **3;**
- ✓ მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას - **0;**
- ✓ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება - **31;**
- ✓ მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება - **116;**
- ✓ მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება - **0;**
- ✓ დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა - **0;**
- ✓ სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა - **4.**